თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2057159

ნომერი: AR1324765

თარიღი : 07.07.2015

გაცემის თარიღი : 07.08.2015

გაცნობის თარიღი : 21.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წულუკიძის 6 / ქალაქი თბილისი , ქუჩა წულუკიძე , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლეილა ჩხეტიანი პ/ნ 01024042546
- თბილისი საბურთალოს ქ. N 55 ბ. 20

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "ვარკეთილი 2011" კოდი: 406043482

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.10.2013წ. №938191 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 07/07/2015წ. AR1324765 განაცხადით მომართეს ლეილა ჩხეტიანმა და ზურაბ იმნაიშვილმა და მოითხოვეს ამავე სამსახურის 08.10.2013წ. №938191 ბრძანებაში, დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 08.10.2013წ. №938191 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, წულუკიძის N6 / ქ. თბილისი, წულუკიძის ქუჩა, N6-ში, შპს "ვარკეთილი 2011"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.012.091), შეთანხმდა არსებული შენობის რეკონსტრუქციის (სასტუმრო) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 08 ოქტომბრიდან 2015 წლის 08 ოქტომბრის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ვარკეთილი 2011“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 406043482).

დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 08.10.2013წ. №938191 ბრძანებაში, დამკვეთის სახელში ცვლილების შეტანას, იმ გარემოების გამო, რომ შპს „ვარკეთილი 2011“–ს შეეცვალა საფირმო სახელწოდება და დღეისათვის რეგისტრირებულია როგორც შპს „სასტუმრო ივერია ინ“.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე, დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის თანახმად, ხელმძღვანელობის უფლება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში აქვთ დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15067398, 30/03/2015 15:18:09) თანახმად, სახელწოდების ცვლილების შედეგად, იურიდიულ პირს საიდენტიფიკაციო კოდით 406043482, დღეისათვის, შპს "ვარკეთილი 2011"–ის ნაცვლად, ეწოდება შპს „სასტუმრო ივერია ინ“. ამასთან, ამავე ამონაწერის თანახმად, შპს „სასტუმრო ივერია ინ“–ის ხელმძღვანელობა/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოდგენს მისი დირექტორი, ზურაბ იმნაიშვილი, რომელიც არის ერთ–ერთი განმცხადებელი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 63–ე მუხლების,მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ლეილა ჩხეტიანისა და ზურაბ იმნაიშვილის 07/07/2015წ. AR1324765 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.10.2013წ. №938191 ბრძანებაში და დამკვეთის სახელწოდებად დაფიქსირდეს შპს „სასტუმრო ივერია ინ“;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.10.2013წ. №938191 ბრძანებასთან ერთად;
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.